თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3538952

ნომერი: AR1537116

თარიღი : 03.09.2017

გაცემის თარიღი : 18.09.2017

გაცნობის თარიღი : 18.09.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სარაჯიშვილი , N 7ბ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მალხაზ მღებრიშვილი პ/ნ 01022008803
- თბილისი ჭოპორტის ქ. N 3 ბ. 43

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1537116 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ.თბილისში, სექტორი საბურთალო, ქუჩა სარაჯიშვილი, #7ბ, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვის გაცემას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2017 წლის 11 აგვისტოს #3468811 ბრძანებით გაიცა ქ.თბილისში, სექტორი საბურთალო, ქუჩა სარაჯიშვილი, #7ბ, საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი #01.10.10.004.055), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 11 აგვისტოდან 2020 წლის 11 აგვისტოს ჩათვლით.

სამსახურის მიერ #3468811 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტი გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მისი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

დამატებით გაცნობებთ, აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.